საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია შაბათი, 26 ივლისი 1919 წ. პარტიულ-ეროვნული ფურცელი ქართველ ერისა. № 165

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთად, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე 50 მანეთი პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიაროო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ბაკურ სანაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

დღიდან გარდაცვალებისა ორი წლის თავის შესრულების გამო, ქუთაისში, მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე კვირას 27 ივლისს ახალი სტილით გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებული მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი ექიმი

ანდრო მერაგის ძე კილასონიას

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მამა მერაბ გიორგის ძე კილასონია, ძმები ნიკოლოზი და ანტონი, და ელისაბედ ჩოგავაძისა, რძალი ზინა არჩილის ასული კილასონიასი და სიძე შალვა იაკობის ძე ჩოგავაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე პანაშვიდი 11 საათზე. (3—1)

ალექსი ჭანკვატაძე, შვილები: ნიკოლოზი, ილია, ვიკტორი, კოტიკა, ვერა და ელენე აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, პირველის შვილის და უკანასკნელთა საყვარელი დის

ნადიას

მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას; პანაშვიდი გადახდილი იქმნება შაბათს 26 ივლისს) საავადმყოფოში. გასვენება მოხდება იქიდანვე კვირას 27 ივლისს დილის 9 საათზე წმინდა ნინოს ეკლესიაში და იქვე დაიკრძალება. (2—1)

ბიძები: მიხეილ და პორფილე, მამიდა მახუა თაბაგარი ამით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 25 ამა ივლისს გარდაიცვალა საყვარელი ძმისწული

ნადია ჭანკვატაძე

გასვენება მოხდება კვირას, 27 ივლის წმინდა ნინოს ეკლესიაში დილის 9 საათზე, პარაკლისი გადახდილი იქმნება შაბათს 26 ივლისს საღამოს 7 საათზე ქალაქის (მიხეილი) საავთმყოფოში. (2—1)

გულდამწვარნი დომენტი მანთიძე, ანეტა და სერგო ჯიბუტები შვილებით: ფედია, ჟენია, ვერა და ლუბა აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ, რომ 28 ივლისს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვილი უდროოდ გარდაცვალებული ძვირფასი და დაუვიწყარის პირველის და მეორესი დის, მესამესი ცოლის დის და დანარჩენების დეიდას

სოფიო იჯანეს ასულს ამირანაშვილს

სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში, საფიჩხიაზე.

ძმები აფრასიონ, კალიტონ, იაგორ ლომინაძეები, დები: ოლღა, ლისა, თებრონე, ძმის შვილები მარო, ვანო. შამშე, ნინა და ანდრია მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მოსკოვში გარდაიცვალა პირველთა საყვარელი და უკანასკნელთა ძვირფასი მიმიდა

ფეოდოსია შავიშვილისა

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას 27 ივნისს, კვირიკეთის ეკლესიაში. (2—1)

მწუხარებით გულმოკლულნი დედა მარიამი და მამა კოლია (ნესტორი) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 27 ივლისს დილის 11 საათზე დანიშნულია მათთვის ძვირფასი პატარა

შოთა ღერეკის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი წმინდა ნინოს ეკლესიაზე.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე, შვილები თინა და ლიზა, მამა ივანე, სიმამრი დიმიტრი, სიდედრი ივლიტე და ცოლის ძმა პეტრე გიგინეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

სილოვან მანჯგალაძის

უდროოდ დაკარგვას. უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია ამა თვის 27 ივლისს დღითი კვირას 12 საათზე ს. დიდი ჯიხაიშში თავის საკუთარ სახლში.

თფილის მილიციის მეორე კომისარიატის ყველა მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგ-მეგობრებს უდროოდ გარდაცვალებას ძვირფასი ამხანაგის, ამავე კომისარიატის უფროს მილიციონერის

ალექსანერე ერმალოს ძე პოგალაძისას

დასაფლავება მოხდება სოფელ სამებაში (გურია) ადგილობრივ ეკლესიის გალავანში კვირას 27 ივლისს.

გულდათუთქული დედმამა ათანასე და თინათინ, ძმები ბორის და ლევან, ბებია ეკატერინე, დეიდები ეკატერინე მარიამ და ნადეჟდა, ჯიმადია ბიკტორ შალიკიანი და დეიდაშვილები იოსებ და ივანე კირკაშიძენი მეუღლეებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ წაღვერში გარდაიცვალა კომერციულ სასწავლებელში კურს დამთავრებული

გრიგოლ ათანასეს ძე რაფალსკი

პანაშვიდი შაბათს 26 ივლისს საღამოს 7 საათზე (ვეძინის ქუჩა, საკუთარი სახლი № 22, მთაწმიდაში), გამოსვენება კვირას დილის 9 ნახ. საათზე საკუთარ სახლიდან ქვაშვეთის ეკლესიაში. (2—1)

შეთანხმება თუ ომი?

საქართველოსა და სომხეთს შორის ისევ განახლდა მოლაპარაკება სადავო საკითხების გადასაწყვეტათ. ვისაც კი ესმის ჭეშმარიტი სარგებლობა თავის ქვეყნისა, ვისაც უნარი აქვს ამ სარგებლობაზე ფართო პოლიტიკურ პერსპექტივის მხრით იმსჯელოს, ვინც ამ პერსპექტივას არ შეზღუდავს დღიურ, წუთიერ სარგებლობის მოსაზრებით, ადვილათ მიხვდება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ მოლაპარაკების განახლებას.

ხშირათ გამოგვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ ჩვენს შეხედულებას კავკასიის სადავო საკითხების შესახებ: ეს საკითხები აქვე, ადგილობრივ უნდა გადაწყდეს, ადგილობრივ ძალთა შეთანხმების ნიადაგზე. ძლიერი სახელმწიფოები, პარიზის კონფერენცია, საერთაშორისო ლიგა და სხვა ძალები ამ საკითხების გადაწყვეტას ვერ შესძლებენ ისე, როგორც საჭიროა; ისინი ვერ ჩასწვდებიან ისე, როგორც საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებთა ჭირ-ვარამს, მათ უმნიშვნელო წვრილმანათ ეჩვენება ის, რასაც ადგილობრივ ცხოვრებაში შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უცხო ძალების ჩარევით გადაწყვეტა სადავო საკითხებისა არ გადაწყვეტას უდრის, რადგან ეს იქნება მხოლოდ დროებითი, ზედაპირული გადაწყვეტა, რომელიც ისევ მალე გადაიქცევა შეხლა-შემოხლის წყაროთ. ამ შეხედულებას ვადექით ჩვენ მუდამ, როდესაც სასტიკათ ვგმობდით იმ პოლიტიკას, რომელსაც კავკასიაში დაშნაკელები აწარმოებდენ და რომელიც მუდამ იქით იყო მიმართული, რომ რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს ჩარევა გამოეწვია ადგილობრივ საქმეებში.

ადგილობრივი საკითხები ადგილობრივ უნდა გადაწყდეს. ეს უბრალო ჭეშმარიტება ნელ-ნელა იმარჯვებს, რაიც მტკიცდება თუნდ იმ შეთანხმებით, რომელიც ჩვენ აზერბეიჯანთან დავდეთ, რაიც მტკიცდება იმ ხანგრძლივ და დაჟინებულ მოლაპარაკებით, რომელსაც ჩვენ სომხეთთან ვაწარმოებთ.

ეს ჭეშმარიტება ქართველ ნაციონალისტებსაც შეგნებული აქვთ. უცხო ძალების ჩარევის იმედი, რომელიც მათ ოდესღაც დაშნაკელებსავით იმჩნიოდათ, ოღონ ამჟამად, დღეს ისინიც თანახმანი არიან, რომ ჩვენი სადავო საკითხები საბოლოოდ უნდა ადგილობრივ გადაწყდეს, მაგრამ ისინი ამ საქმეში მხოლოდ ფიზიკურ ძალას ეყრდნობიან. ადგილობრივი საკითხები უნდა ისე გადაწყდეს, როგორც მას გადასწყვეტს ადგილობრივ სახელმწიფოების ფიზიკურ ძალთა ბრძოლა. როგორც „საქართველო“, ისე „გრუზია“ აშკარად მიისწრაფვიან სომხეთთან მოლაპარაკების ჩაშლისაკენ. **არავითარი მოლაპარაკება. სადავო საკითხები ჩვენსა და სომხეთს შორის ომით გადაწყდეს,**—აი მათი უკანასკნელი პოლიტიკური ლოზუნგი. „ჩვენ არ დავზოგავთ არავითარ იარაღს და საშუალებას“, ამბობს „საქართველო“, ოღონდ ლორი ჩვენს ქვეყანას შევანარჩუნოთ. „საკითხი ჩვენი ისტორიულ საზღვრის შესახებ ვერ გადაწყდება კაბინეტებში... იგი უნდა გადასწყვიტოს თვით ქართველმა ხალხმა“, იმუქრება „გრუზია“.

მაშასადამე, ჩვენ მიერ მრავალ წლობით ნაქადაგები ჭეშმარიტება შეთვისებულია მხოლოდ პირველ ნახევარში — **სადავო საკითხები უნდა გადაწყდეს ადგილობრივ.** ჭეშმარიტების მეორე ნახევარი— **რომ სადავო საკითხების საუკეთესოთ გადაწყვეტა შეუძლებელია ფიზიკურ ძალის, ომის საშუალებით, იგი უნდა გადაწყდეს მორიგების გზით,**—ეს ნახევარი ჭეშმარიტებისა, საშუხაროდ ჯერ-ჯერობით შეგნებული და შეთვისებული არა აქვს ჩვენი საზოგადოების ყველა ელემენტებს. არ ესმით ის უბრალო რამ, რაზედაც მთელი კაცობრიობის ისტორია ასე ხმა-მაღლა ლაღადებს; არ ესმით, რა საშინელება მოუტანა კაცობრიობას ამ პრიმიტიულმა და ველურმა საერთაშორისო მეთოდმა! საფრანგეთი თავის ძლიერების ეპოქაში გერმანიის მიწებს იპერს; რამდენიმე ხანი გადის, გერმანია ძლიერდება, საფრანგეთს ამ მიწებიდან ერეკება და თავის მხრით შის ადგილებს იპყრობს. ორმოცი წლის განმავლობაში საფრანგეთი გულში ზრდის ზღვევის წადილს, დგება ჟამი, ინგლის-ამერიკის დახმარებით სძლევს გერმანიას და მის გაჩანაგებას ცდილობს. გერმანია დღეს ურიგდება თავის მწარე ბედს, მაგრამ თავის გაჩანაგებას, უეჭველია, საბოლოოდ ვერ შეურიგდება. ასე და ამგვარად ქანაობს საბედისწერო ისტორიული საქანელა და ამ ერთმანეთის ჟლეტას ბოლო არ უჩანს. დღეს, როდესაც მთელი კაცობრიობა ცდილობს ახალი საშუალება გამონახოს საერთაშორისო საკითხების გადასაწყვეტად, დღეს, როდესაც უკიდურეს რეაქციონერების სინიდისსაც კი მოსვენებას არ აძლევს ის ოც მილიონზე მეტი მოკლულ-დასახიჩრებული ვაჟკაცი, რომელთა ნიჩი და ძალა კაცობრიობას მოაკლო ამ კაციკალლობამ, ის 50 მილიონზე მეტი გაუბედურებული მათი ოჯახის წევრები, რომლებსაც თავს დაატყდათ თავის მარჩენალის სიკვდილი, ან დასახიჩრება, დღეს ჩვენს საზოგადოებაში გამოდიან პუბლიცისტები, რომელთაც თავის თავი კულტურულ პიროვნებად მიაჩნიათ და რომელთაც ომით უნდათ სადავო საკითხების გადაწყვეტა!

ამ პუბლიცისტებს ხშირად უყვართ „მამა-პაპის ანდერძის“ გახსენება. სწორედ ამ მამა-პაპურ გზის სწორედ გაგება, ისტორიულ წარსულის სათანადოთ დაფასება გვიჩვენებს რა შედეგები მოჰყოლია მათს მეთოდს სადავო კითხვების გადაწყვეტისას. დღეს მე ვარ ძლიერი, მე დაგძლევ, ხვალ შენ მოიკრებ ძალას, შენ დამძლევ,—აი მამა-პაპურ მეთოდის არსება.

ეს თუნდაც „მამა-პაპის მიერ ნაანდერძევი გზა“ საბოლოოდ თავიდან უნდა მოვიშოროთ. კაცობრიობის მოწინავე აზრმა უკვე თეორიაში შექმნა ახალი გზა საერთაშორისო ურთიერთობისა: ჩვენ უნდა ვეცადოთ ეს გზა საქმეში გამოვიყენოთ. ეს გზაა კულტურულ ურთიერთობის, შეთანხმების გზა და ჩვენ ვეცდებით მას არ გადვუხვიოთ, სანამ უკანასკნელი საშუალება გვაქნება ამისი.

ჩვენ პროვინციელ თანამშ-

(რედაქციისაგან)

რედაქციას ხშირად მოსდის საყვედური იმის გამო, რომ ჩვენს გაზეთში ვერ იბეჭდება ყველა ის, რასაც პროვინციიდან გზავნიან ჩვენი თანამშრომლები და კორესპონდენტები. ჩვენ უნდა მივაქციოთ ამხანაგების ყურადღება იმას, რომ ჩვენი გაზეთი მეტის-მეტად პატარაა და რედაქცია იძულებულია დიდი ეკონომია გასწიოს საგაზეთო მასალის არჩევაში, გრძელ-გრძელი კორესპონდენციები და წერილები შესამჩნევად შეამოკლოს და მათ შორის ადგილი მისცეს მხოლოდ იმას, რაც მკითხველთა უფრო ფართო წრისათვის არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო. პროვინციის რომელიმე კუთხეში მომხდარ წვრილმან ფაქტებს, რომელსაც მხოლოდ ამ კუთხისათვის აქვს მნიშვნელობა და სხვა მკითხველი არ წაიკითხავს, რედაქცია ვერ მოათავსებს. გაზეთში ადგილი მხოლოდ იმ ფაქტებს დაეთმობა, რომლებიც ტიპიურია ჩვენ ცხოვრებისათვის ან თავის რომელიმე მხრით საყურადღებოა ფართო დემოკრატიისათვის.

რედაქცია გადაჭრით უარს ამბობს იმისთანა ფაქტების გამოქვეყნებაზე, რომელთაც პირად კინკლაობის და პირად ანგარიშის გასწორების ბეჭედი აზის. **გაზეთი სასამართლოს როლს ვერ ითამაშებს,** და როდესაც ორ მოწინააღმდეგეთა შორის რაიმე დავაა, ეს დავა ორივე მხარემ ჯერ უნდა ან სამედიატორო ან ჩვეულებრივ სასამორთლოს გზით გადასწყვიტოს და, თუ იგი ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება, გაზეთი მაშინ მოათავსებს თავის ფურცლებზე.

ამხანაგები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ იმით, რომ ჩვენი გაზეთი რაც შეიძლება უკეთესად იყოს დაყენებული, გაზეთში მხოლოდ საზოგადო ინტერესის წერილები, ფაქტები და კორესპონდენციები იბეჭდებოდეს. ამიტომ ისინი უნდა ცდილობდენ რაც შეიძლება მოკლე, რაც შეიძლეა მნიშვნელოვანი წერილები და კორესპოედენციები გვიგზავნონ, რაც შეიძლება უფრო ტიპიური და ფართო საზოგადოებისთვის საყურადღებო ფაქტები შეგვატყობინონ. ნუ დაგვემდურებიან, თუ მათი კორესპონდენციები და წერილები შემოკლებით დაიბეჭდება ან სულ არ დაიბეჭდება; ნუ დაგვემდურებიან, თუ ის წერილები რედაქციის მიმართ“, რომელშიაც გამოურკვეველ სადავო ან საზოგადოებრივ ინტერესს მოკლებულ ფაქტებზეა ლაპარაკი, ვერ მოვათავსებთ გაზეთის ფურცლებზე.

დღეს

ბულგარეთის ხელშეკრულება გადაიდო, რადგანაც ამერიკის დელეგატები ვაშინგტონიდან ინსტრუქციებს მოელიან.

შანდუნის საკითხის შესახებ იაპონიის განმარტების შემდეგ იმედი აქვთ, რომ ჩინეთი საზავო ხელშეკრულებას ხელს მოაწერს.

ანდინის სამხრეთით ბერძნებსა და ოსმალებს შორის ბრძოლა გრძელდება.

ამერიკის და იტალიის აზრით, ფრაკია უნდა დაუბრუნდეს ბულგარეთს. მოკავშირეთა სხვა წარმომადგენლები იმის მომხრე არიან, რომ ფრაკია საბერძნეთს გადაეცეს.

სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარი ხარკოვის დასავლეთით სდგას 75—85 ვერსტის მოშორებით.

ურალის ფრონტზე ჩელიაბინის მიმართულებით საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.

ფინლიანდიაში სამინისტროს კრიზისია.

პრესა

„აშხატავორი" № 148) ეხება კიდევ სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნების გადადების საკითხს მთავრობის მიერ და, სხვათა შორის, სწერს შემდეგს:

„ქართული მენშევიკების ორგანოები, რომლებიც უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საარჩევნო ბრძოლაში, ვიდრე სომხური ორგანოები (პრესსა), უეცრად თავს დაატყდა მთავრობის განკარგულება და საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მხოლოდ ახლა, როგორც სჩანს, ჩვენების მიღების შემდეგ ნახევარ პირით ქართული პრესა ცდილობს გაამართლოს ძალადობის აქტი. გამოდის, რომ სამინისტროს არჩევნები გადაუდვია ხალხის მიერ ბევრი თხოვნების მიღების შემდეგ. ამ დასაბუთების უხეშობის დამტკიცება ზედმეტათ მიგვაჩნია.

„ეროვნულ საბჭოს საკითხით დაინტერესებულ ხალხისთვის საიდუმლო არ იყო, რასაკვირველია, რომ არჩევნების დამნიშსაბჭო, მაშასადამე, უკეთუ ეგ თხოვნის წერილები არ არიან დაწერილი სწრაფათ და შეკვეთით, პირველად უნდა მიერთმიათ საბჭოსთვის, ან ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის. ივლისის 17-მდე ამისთანა „თხოვნები" არ მიუღია. ერთბაშათ, ივლისის 18-ს 7—8 ალაგებიდან მიღებულა ერთნაირი დეპეშები, რომლებითაც მოითხოვდენ არჩევნების გადადებას.

„უკეთუ ერთი წუთით ვიფიქრებთ, რომ მართლაც შემოსულა ასეთი თხოვნები, კიდევ გაუგებარი რჩება ის, თუ მთავრობა თვითონ რისთვის ახდენს განკარგულებას არჩევნების გადადებისათვის. რატომ მან არ მოისურვა ამ საქმის გაკეთება საბჭოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშუალებით? საარჩევნო საქმის ყველა ძაფები კომისიის ხელში არის და არა კომისრებას.

„უაზრო და ულაგო ჩარევას საბჭოს საქმეებში ის შედეგი მოჰყვა, რომ გამორკვეულ ოლქებში უკვე არჩევნები მოხდა. კომისიებს არა სცოდნიათ მინისტრის ყურადსაღები განკარგულება და გაუგრძელებიათ თავიანთი მუშაობა.

„თუ ფორმალურათ და არსებითათ შევხედავთ საკითხს, ჩვენ ობიექტიურათ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მთავრობის ეს ნაბიჯი ულაგო ძალადობის ერთი აქტია, რომელიც ულაგოთ ფეხ-ქვეშ თელავს კანონით მინიჭებულ უდავო უფლებებს, რომლებიც მიცემულია არა მინისტრის მოწყალებით, მაშასადამე, არც შეიძლება მათი წართმევა თვითნებობით".

დაშნაკელები ისე გაწიწმატებულნი არიან არჩევნების გადადებით, რომ უნებურად ეჭვი გებადებათ, ამ არჩევნების გადადებამ რომ მათ რაიმე განზრახვები არ ჩაუშალაო. თორემ ვიმეორებთ გასაწიწმატებელი მათ არა აქვთ რა: თუ დაშნაკელებს ამ არჩევნებში კანონიერი და პატიოსნურ საშუალებებით მოპოვებული გამარჯვება ხვდებოდა, ასეთივე გამარჯვება ხვდება მათ მომავალ არჩევნებშიაც და, თუ მთავრობის პარტია დამარცხდებოდა გადადებულ არჩევნებში, იგი დამარცხდება, მომავალ არჩევნებშიაც! თუ ეს ასეა, მაშ რა აცხარებს დაშნაკელებს? აღდგომა და ხვალაო. რაც შეეხება არსებით მხარეს მათ პრეტენზიებისას, ჩვენ უნდა ვუთხრათ შემდეგი: ჯერ არსად დაწერილა კონსტიტუცია, რომელიც საზღვრავს ეროვნულ საბჭოთა მოქმედების ფარგალს და ჩვენ სახელმწიფოსა და ეროვნულ საბჭოთა ურთიერთობას. ეროვნულ საბჭოთა მოქმედება ზოგიერთ თავის მხარეებით ვრცელდება მცხოვრებთა იმ ინტერესებზე, რომელიც სახელმწიფოსაც შეეხება, და მაშასადამე ეროვნულ საბჭოს არჩევნები სახელმწიფოსაც ეხება, სახელმწიფოს მის კონტროლზე ხელს ვერ აიღებს და ამ არჩევნების წარმოებაში საჭიროებისამებრ ჩაერევა. დღეს ამნაირი საჭიროება მან დაინახა, მან გაიგო თვით სომეხი მცხოვრებთა მრავალ თხოვნიდან, რომ დემოკრატიის დიდი ნაწილი საშუალებას მოკლებული იქნება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, და ამიტომ განკარგულება მოახდინა რომ არჩევნები გადიდოს. ნურას უკაცრავად, თუ ამ გადადების წყალობით ვისიმე მახინაციები მოულოდნელად ჩაიფუშა!

უკანასკნელი ცნობები

ლენქორანის ამბები.

ლენქორანი ჯერ კიდევ ბალშევიკების ხელშია, ქალაქში ბევრ შენობას ცეცხლი უკიდია. ბალშევიკების ჯარები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ რამაზანის რაზმელებს. მუღანელები ყანებში მუშაობენ და არავითარ მონაწილეობას არ იღებენ სამხედრო ოპერაციებში. ლენქორანში სულ 800 კომუნისტია, რამაზანს ჯარისკაცები ბევრი ყავს, მაგრამ მას არტილერია არ აქვს და ეს ძლიერ უშლის ხელს სამხედრო ოპერაციებს. წითელი არმიელები ჯავშნიან მატარებლით იგერიებენ რამაზანის ჯარს.

ბალშევიკების აგიტაცია ინგლისურად.

22 ივლისს ბაქოში ინგლისურ ენაზე ბალშევიკებმა ფურცლები გაავრცელეს, რომელშიაც მიმართავენ ინგლისის სალდათებს და ურჩევენ სახლში დაბრუნებას, ვინაიდან „ომი უკვე გათავდა და რატომ სახლში არ გიშვებენო".

ასტრახანთან.

ბაქოში ჩამოსულთა სიტყვით ასტრახანი მოხალისეთა ჯარმა დაიკავა, ბალშევიკებმა დაიხიეს მდ. ვოლგის შესართავთან მდებარე კუნძულებზე, სადაც ისინი გარშემორტყმული არიან მოხალისეთა მიერ. მოხალისეთა სარდლობას იმედი აქვს, რომ ასტრახანის რაიონს [illegible]

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

25 ივლისი.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ივლისის 24. **სამხედრო ცნობა.** ივლისის 23. არხანგელის რაიონში მკაცრი ბრძოლაა: აქ 500 ტყვე წამოვიყვანეთ და 10 ტყვიისმფრქვეველი ვიგდეთ ხელთ ონეგისკენ სოფ. უსალია დავიჭირეთ. **დასავლეთის ფრონტი.** ბალტიის რკინის გზის სამხრეთით ჭაობიან ადგილებში ახალ პოზიციებზე დავიხიეთ. ტოროშინის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 12 ვერსზე, მტერმა შემოგვიტია. მდ. ჩერეკოისა და პსკოვ-პორხოვის რკინის გზის შუა უკან დავიხიეთ, პსკოვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 ვერსის მანძილზე. მოლოდეჩნოსკენ, მინსკ-ბარანოვიჩის რკ. გზის სად. კოიდანოვასთან ბრძოლაა. კოველის მიმართულებით დავსტოვეთ სადგ... (გამოტოვებულია) კამენეც-პოდოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა, წამოიყვანა ტყვეები და ხელთ იგდო 2 ზარბაზანი და 2 ტყვიისმფრქვეველი. **სამხრეთის ფრონტი.** ხარკოვის დასავლეთით 75—85 ვერ. სიშორეზე ჩვენი ჯარი სდგ. სკოროხოდოვოსა და სოფ. კოლონტაევთან იბრძვის. კოროჩის ჩრდილოეთით 30 ვერსზე ბრძოლაა. ელან-ბალაშოვის რკ. გზაზე სადგ. სვიატოსლავოვი დავსტოვეთ. **აღმოსავლ. ფრონტი.** ჩვენი ჯარი ეკლიან მავთულის ხლართებით გარშემოკლებულ ვერხნე-ურალსკ მიადგა. ჩელიაბინსკის რაიონში რკინის გზის ორივე მხრით წინ წავიწიეთ. რკინის გზის სამხრეთით 400 ტყვე წამოვიყვანეთ. ირბიტის რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია, სად. ეგოშინო-სამოცვეტის ხაზამდე, სადაც 3 ორთქმავალი ვიგდეთ ხელთ. ჩვენი ცხენოსანი ჯარი ჯავშნიანი მატარებლით ირბიტს მიუახლოვდა და ზარბაზნები დაუშინა. **ვორონეჟი.** ივლის. 22. ბოგუჩარის მაზრის მშრომელი გლეხობა დენიკინს აუჯანყდა. მათ 1000 თოფი მიიღეს და რაზმი შეადგინეს. **მინსკი.** ივლის. 22. ბელორუსიის და ლიტვის სახალხო კომისართა საბჭომ დეკრეტით მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალა ისეთ სახელოსნოების და წარმოების კონფისკაცია, რეკვიზიცია, მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია, სადაც თვით მესაკუთრეები მუშაობენ ან ხუთზე მეტი მუშა არა ყავთ დაქირავებული. **ჰელსინგფორსი.** ივლ. 22. ფინური გაზეთი „ჰელსინგინ-სანომატი"-ს ცნობით, ფინეთის ფლოტი ცუდ მდგომარეობაშია. ფლოტის ოფიცრები უმეტეს ნაწილად არიან შვედები, რომლებმაც ფინური ენა არ იციან. დათვალიერების დროს მრავალი უწესრიგობა აღმოჩნდა, დაიღუპა რამდენიმე სამხედრო გემი. გემების სარდლობაში დისციპლინა არ არის და საომრად განწყობილი სრულიად არ არიან. **ჰელსინგფორსი.** ივ 19. ფინური გაზეთების ცნობით, ფარულად ღვინის გამოხდა გავრცელებულია, მიუხედავათ იმისა, რომ ეს სასტიკად აკრძალულია. **ნაუენი,** ივლის. 19. სტარსბურგის გაზეთების ცნობით, საფრანგეთი ელზასში სიმაგრეების შეიარაღებას იწყებს. **ჰელსინგფორსი,** ივლის. 19. მთავრობამ სეიმში წინადადება შეიტანა, რომ ფინეთის პრეზიდენტს წელიწადში 60,000 მარკა დაენიშნოს. გაზეთების ცნობით პოლონეთის და ფინეთის მთავრობის შორის სავაჭრო ურთიერთობის დაწყების შესახებ მოლაპარაკება სწარმოებს. **კიევი,** ივლის. 24. რაკოვსკიმ პიშონს გაუგზავნა ნოტა, სადაც პროტესტს აცხადებს შავზღვაზე მყოფ საფრანგეთის გემების თარეშის გამო. საფრანგეთის სამხედრო სარდლობა სიცრუეს მიმართავს და ოდესის აღმასრ. კომიტეტს დროგამოშვებით უთანხმდება ნავების მოძრაობის და ნაპირზე თევზის დაჭერის უფლების მისაღებად. როგორც კი ზღვაზე მეთევზეები გამოჩნდებიან, საფრანგეთის ნაღმოსნები მათ უშენენ, აჩერებენ და ძევლებად აკავებენ და სამაგიეროთ უცხოელების განთავისუფლებას მოითხოვენ. **ჩერნიგოვი.** ივლ. 23 გუბ. აღმ. კომიტეტის დადგენილებით, საბჭოთა დაწესებულებიდან მოსამსახურეთა 1 მეოთხედს ითხოვენ. **კიევი.** ივლ. 23. პოლტავის მაზრაში პურის მკა დაიწყო. **ვორონეჟი,** ივლ. 22. ვორონეჟის მაზრის გლეხები, რომლებიც მომენტის სიძნელეს ანგარიშს უწევენ, მთელის ძალღონით ეხმარებიან ფრონტის გამაგრების საქმეში. **კიევი.** ივლ. 23. ბელიჩკვის კომუნისტურმა რაზმმა, რომელსაც მუშები უჭერენ მხარს, სოკოლოვსკის ბრბო დაამარცხა. ზელიონის ბრბოები ჩერნიგოვ-პერიასლავის რაიონიდან განდევნეს. **ლიონი.** ივლ. 23. სამშაბათს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში კამათი იყო მთავრობის საერთო პოლიტიკის შე-[illegible] ამტკიცებდა, რომ ყველა სიძნელე, რომელიც მთავრობას ხვდება, ომისაგან არის გამოწვეული. კლემანსომ განაცხადა, რომ საფრანგეთის საკანონმდებლო საკრებულოს ახალი არჩევნები ახალ პრეზიდენტის არჩევამდე, რაც თებერვალში მოხდება, უნდა მოხდეს. პალატამ 279 ხმით, 76-ის წინააღმდეგ მთავრობას ნდობა გამოუცხადა. **ლიონი.** ივლ. 23. საზავო კონფერენციაზე ბალკანეთის საკითხი პირველ რიგში სდგას. ამის მიზეზი ამერიკის ეხლანდელი მდგომარეობაა, რომელიც ყველა დანარჩენ მოკავშირეების წინააღმდეგაა. ეჭვი არაა, რომ მოკავშირეები მთელი ძალ-ღონით სცდილობდა ბალკანეთის საკითხში ამერიკა ჩარიონ და ამგვარათ უზრუნველყონ ფულით და ხალხით შესაძლებელ მომავალ ომისთვის. **ვარშავა.** ივლ. 22. კვირას კრაკოვში პოლონეთისა და ჩეხიის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკება დაიწყება. **ჰელსინგფორსი.** ივლ. 23. ფინეთში სამინისტრო კრიზისი გრძელდება.

გერმანული პრესის ცნობები.

პეტროგრადის დამცველმა ბალშევიკურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ დაუყონებლივ დახვრეტენ უცხოელთა და განსაკუთრებით ინგლისელთა აგენტებს, რომელნიც მცხოვრებლებს გაფიცვისაკენ მოუწოდებენ.

სტრასბურგის გაზეთების ცნობით საფრანგეთმა 5 მილიონი ფრანკი გადასდო ელზასლორენის სიმაგრეების შესაიარაღებლად, რაც უკვე დაიწყეს და რასაც 5 წელიწადი მოუნდება.

კიშინევში ჩამოვიდა ბალშევიკების დელეგაცია, რომელმაც ლენინის ბრძანებით რუმინიის მთავრობის წინადადება მისცა ზავის შეკვრის შესახებ. ლენინი თანახმაა რუმინიას ბესარაბია გადასცეს, თუ ის რუსეთისკენ აღარ გამოუშვებს უკრაინელებს და კოლჩაკელებს. ამის გამო ბესარაბიის ფრონტზე 8 დღით დროებითი ზავი ჩამოვარდა. ბალშევიკების დელეგაცია რუმინიის მთავარ შტაბში გაემგზავრა.

რაც შეეხება საზავო ხელშეკრულების ფინანსიურ პირობებს, მათი შინაარსი შემდეგია: დაწესებული იქნება (გამოტოვებულია) სახელმწიფო ქონებაზე და შემოსავალზე. მოკავშირენი დააწესებენ, თუ როგორი შეღავათები იქნება დაშვებული საკვები მასალების მისაწვდენ ფასის გადახდაში. სახელმწიფო საიტეკო ვალები განაწილებული იქნება იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც წინად მონარქიას შეადგენდნენ. ამ ვალებს გაანაწილებს ანაზღაურების კომისია; დანარჩენი სამხედრო ვალები განაწილდება იმის მიხედვით, თუ ამ სახელმწიფოებს რამდენი ტერიტორია ეჭირათ 1911—1913 წ.წ. კომისია განიხილავს აგრეთვე ყველა იმ ფინანსიურ საკითხებს, რომელთაც ახალი მდგომარეობა და ფინანსების რეორგანიზაცია იწვევს, როგორც ეს ნაგულისხმევი იყო საზავო ხელშეკრულებაში. ცალკე შეთანხმება მოხდება ბანკების დამზღვევ საზოგადოებათა და შემნახველ კასების შესახებ. საკრედიტო ბილეთების შესახებ გადაწყვეტილია, რომ ყველა მემკვიდრე სახელმწიფოებს, რომელნიც ავსტრიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ბეჭედ დასმული საკრედიტო ბილეთები ექნებათ და პირველ წლის შემდეგ საკუთარი ფულით უნდა შესცვალონ. ავსტრია-უნგრეთის ბანკი დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს.

(დასაწყისი არ არის მიღებული). სხვა რომელ სახელმწიფოს შეუძლია თავი მოჰქონდეს ასეთ დემოკრატიულ წესწყობილებით. რასაკვირველია ბევრის განვითარება შეიძლება, მაგრამ ვერ აღწევენ ერთ რამეს არსებულ პირობების გამოყენებას. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ძალები, რომლებიც შექნიან ყველა მას რაც აქამდე მხოლოდ ქაღალდზე იწერებოდა. ყველა ხელობის შესასწავლად დროა საჭირო, განსაკუთრებით ეს ითქმის სახელმწიფოს მართველობის შესახებ, თუმცა თანამედროვე დემაგოგები იძახიან, რომ ამისთვის საკმარისია რამდენიმე მიტინგზე დასწრება. დამოუკიდებლებს სურთ დიქტატურა, თუნდაც ეს ერთი კლასის მეორე კლასზე ტირანია იყოს. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველივე დიქტატურისა, როგორც უხეში ძალისა. ერთნი ამბობენ, ეს საუბედურო ცდაა, რომელზედაც მე უარს ვაცხადებო, მეორენი უპასუხებენ, მე არავითარი რისკის არ მეშინიაო. პროგრესიულ მოძრაობის ძალით მოსპობა შეუძლებელია. ვინც ნამეტანი ჩქარობს, ის რევოლიუციის წინამორბედი კი არა, რეაქციისთვის მებრძოლია". შემდეგ თავის სიტყვაში პრემიერი შეეხო გაფიცვებს, რომლებიც რამდენიმე კვირაა რაც წესიერებას არღვევენ. მაშინ, როდესაც ეროვნულმა ყრილობამ და მთავრობამ, ხალხის უმრავლესობის ნდობით აღჭურვილნი, თავის თავზე ახალი ვალდებულებანი მიიღეს და ზავს ხელი მოაწერეს. დიდ ხანს ილაპარაკეს გაფიცვების მომწყობ დამოუკიდებლების შესახებ. ღირსეული მთავრობა უნდა მოქმედებდეს. მთავრობა მოვალეა თანამემამულეებს განუმარტოს, რომ ყოვლად შეუძლებელია ომის უბედურ შედეგების თავიდან აცილება და საჭიროა მათი მორჩილებით გადატანა.

ინგლისური პრესის ცნობები.

ბულგარეთის ხელშეკრულება გადაიდო, რადგან ამერიკის დელეგატები ვაშინგტონიდან ინსტრუქციებს მოელიან. ხელშეკრულება უკვე დასრულებულია. მასში ჯერ არაფერია ნათქვამი მხოლოდ ფრაკიის შესახებ, რომელიც ომის დასაწყისში ბულგარეთს ეკუთვნოდა, მაგრამ ეხლა მას საბერძნეთი მოითხოვს ეტნოგრაფიულ საფუძველზე და ბულგარეთის დასჯის მიზნით. ამერიკელები იმის მომხრე არიან, რომ აღმოსავლეთით ფრაკია ბულგარეთს დაუტოვონ, რათა მას ზღვისკენ გასავალი მისცეს და ამნაირად, მომავალში საბერძნეთსა და ბულგარეთის შორის უთანხმოება შეუძლებელი გახდეს. ვენიზელოსმა საკითხი ასე დასვა: შეერთებული შტატები მოაწერავს თუ არა ხელს ბულგარეთის ხელშეკრულებას?

საბერძნეთის აზრით ამის პასუხს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვენიზელოსის აზრით, თუ ამერიკა ხელს არ მოაწერს, მაშინ არც მონაწილეობა უნდა მიიღოს მან ბულგარეთის საზღვრების შესახებ მოლაპარაკებაში. პარიზიდან წასვლის დროს წინ ვილსონმა განაცხადა, რომ ამერიკა მზადაა ხელი მოაწეროს ბულგარეთის ხელშეკრულებას, რადგან მასში შედის შეთანხმება ხალხთა ლიგის შესახებ. მაგრამ შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ამერიკამ აზრი შეიცვალოს და მაშინ ამერიკის დელეგატები მონაწილეობას მიიღებენ მოლაპარაკებაში და ვენიზელოსის მოთხოვნილებანიც დაკმაყოფილებული იქნება. „დეილი მეილი" დღეს ამბობს, რომ ამერიკას სურს პატიებით მოეპყრან ბულგარეთს.

ხმები გავრცელებულია, რომ საზავო კონფერენციასთან დაახლოვებულ წრეებში ფიქრობენ, რომ იაპონია განმარტავს თავის პოზიციას შუანდუნის საკითხში და მაშინ ჩინეთს შეეძლება ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.

ანდინის სამხრეთით ბერძნებსა და ოსმალებს შორის ბრძოლა გრძელდება. ოსმალები უკან იხევენ. ბერძნებმა რამდენიმე აფიცერი და 20 ჯარისკაცი დაკარგეს.

მოკავშირეთა საბჭომ მოისმინა ტიტონის

საქართველოს

...ერძნების და იტა-
...ლიის შესახებ.
კონ... ...ად დიდ მნიშვნე-
ლოვანია... ...ამერიკა მიიღებს
ბალკანეთის... ...ანაწილებას თუ
არა. ამერიკას... ...ამ მთელი ფრაკია
ბულგარეთს დაუბრუნდეს და იტალიაც მას
უჭერს მხარს. ხოლო ინგლისს, საფრანგეთს
და იაპონიას სურთ, რომ ფრაკია საბერძნეთს
გადაეცეს და ამნაირად ბულგარეთს ზღვისკენ
გასავალი არ მისცენ, რასაც დასჯის ხასიათი
აქვს.

ახალი ამბები

განათლების მინისტრის მოხსენების
თანახმად მთავრობამ დაადგინა, რომ თფი-
ლისის სატეხნიკო სასწავლებელი გადაკეთე-
ბულ იქმნას საშუალო საპოლიტეხნიკო სას-
წავლებლათ და ამისთვის გადაიდოს ორას
ოთხმოცი ათასი მან. (280,000 მ.)

თეატრის და საერთოდ ხელოვნების
საქმეების გამგებლობა მთავრობის დადგენი-
ლებით ევალება განათლების მინისტრს.

მილიციის უფროსის საყურადღებოდ
გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: ზოგიერთ
ალაგას თფილისის ქუჩებში ისეთი მდგომა-
რეობაა შექმნილი, რომ ქალს საღამოთი ვერ
გაუვლია ისე, რომ მას შეურაცყოფა არ მია-
ყენონ. განსაკუთრებით აუტანელი მდგომა
რეობაა შექმნილი ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში.
სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. აქ შეხვდე-
ბით ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც ხანჯალ-
რევოლვერებითაც კი არიან შეიარაღებულნი
და გამვლელ-გამომვლელ ქალებს უწმაწური
სიტყვებით უმასპინძლდებიან.

ოზურგეთის მაზრის ერობის გამგეო-
ბის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ფინანსთა
და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ფი-
ნანსთა დეპარტამენტის დირექტორი ს. დ.
ჭანტურიშვილი.

ყაჩაღების შეპყრობა. შინაგან საქმეთა
სამინისტროს ზუგდიდიდან დეპეშით ატყო-
ბინებენ, რომ ივლისის 22-ს ხანგრძლივი
სროლის შემდეგ შეიპყრეს ცნობილი ყაჩაღთა
ბრბოს მეთაურნი აბრამია, ფირცხალავა და
აბსავა.

სიღნაღის მაზრის კომისარი დეპეშით
ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს,
რომ 22 ივლისს, სოფელ ბოდბის მენახირეებს
თავს დაესხნენ ყაზახის რაიონის შეიარაღე-
ბული თათრები და მოსტაცეს 100 სული
მსხვილფეხა საქონელი.

ბორჩალოს მაზრაში უკანასკნელ სამ-
ხედრო მოქმედების დროს დაზარალებულთა-
თვის ფულის მიცემა, მთავრობის დადგენი-
ლებით, მოხდება მას შემდეგ, რაც მთხოვნელ-
თა განცხადებანი ცალ-ცალკე იქნება შემოწ-
მებული სახელმწიფო კანტროლის მიერ.

სომეხი ლტოლვილები. გაზ. „აშხატა-
ვორის“ ცნობით, ჩროილოეთ კავკასიიდან ბა-
თუმში ჩამოუყვანიათ სამშობლოში მიმავალი
4,500 ლტოლვილი სომხები, რომელთაც ამ
დღეებში გაგზავნიან სამშობლოში.

დუხობორების საჩივარი. თრიალეთის
რაიონის დუხაბორებმა შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროში შეიტანეს საჩივარი მათ მეზობ-
ლათ მოსახლე თათრების წინააღმდეგ. საჩი-
ვარში აღნიშნავენ, რომ თათრები დიდათ
ავიწროვებენ დუხობორებს და უკანასკნელათ
7 დუხობორიც კი მოკლესო.

ქურდობა. ივლისის 23 ეშრეფ-გელეშ-
ოღლის მაღაზიიდან გაიტანეს 85,000 მან.
სავადასხვა საქონელი.

სტატისტიკოსების ყრილობა. ერობათა
ცენტრალური ბიურო თბილისის მაზრის ერო-
ბასთან შეთანხმებით 27 ამა თვეს შუადღის
12 ს, ერობის ბინაზე (რუსთაველის ქ. 6)
იწვევს რესპუბლიკის ყველა ერობათა სტატი-
სტიკოსების და სტატისტიკურ განყოფილება-
თა გამგეების საერთო ყრილობას.

სამგლოვიარო წერილი. ულმობელმა
სენმა მოგვტაცა ამხანაგი კანდრატი გუგუნავა.
ბათუმის მესამე რაიონული სოციალ-დემოკ-
რატიული კოლექტივი გარდაცვალებულის
დედასთან და მეუღლესთან ერთად გამოს-
თქვამს თავის ღრმა მწუხარებას.

კრებები

დღეს საღამოს 6 ს. მეორე რაიონის ბიუ-
როს ბინაზე შესდგება, საქართველოს სოციალ-
დემოკრატიულ მ. პ. თფილისის ქალთა კო-
მიტეტის ჩვეულებრივი კრება.

— 28 ივლისს დღის 4 ს. მე-7-დე რაიონულ
კოლექტივის ბინაზე (ნავთლუღის სახ. გვარ.
შტაბის შენობაში შესდგება კოლექტივის არა-
ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, 26 ივლისს, საღამოს 6 ს. დანი-
შნულია ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კო-
ლექტივის სხოდომა.

პროვინციის ქრონიკა

სამეგრელო (გურია) უმაღ. პირველ დაწყებითი
სასწ. შენობის ფონდის გასაძლიერებლათ მე-
სამე ჯავშნიანი მატარებლის გვარდიელებმა
შესწირეს 400 მან.

შრომის სამინისტროში

ტყიბულის მაღაროები.

შრომის სამინისტრომ თავის რწმუნებულათ
ტყიბულში დანიშნა ტყიბულის მუშათა დე-
პუტატთა საბჭოს მიერ წამოყენებული კან-
დიდატი მ. ჯაფარიძე.

ტყიბულის მუშების წარმომადგენელი დე-
პეშით ატყობინებს შრომის სამინისტროს,
რომ მუშებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ ამ სამი
თვის სამუშაო ხელფასი და ხვედრი სურსა-
თი. ამის გამო შრომის სამინისტრომ მოლა-
პარაკება გამართა გზათა სამინისტროსთან,
რომლის გამგებლობის ქვეშ იმყოფება ტყი-
ბულის მაღაროები, რაც გათავდა იმით, რომ
ნაწილი ხვედრი თანხისა მათ—ტყიბულის მუ-
შებს უკვე გაეგზავნათ.

მიღებულია აგრეთვე სასწრაფო ზომები
მუშების სურსათით უზრუნველსაყოფათ.

ცენტრალური შრომის ბირჟა.

შრომის სამინისტრომ შეიმუშავა ცენტრა-
ლურ და ადგილობრივ შრომის ბირჟათა წეს-
დების პროექტები. ამ პროექტებს, რომელნიც
შეფარდებულია შრომის ხელშეკრულების მო-
თხოვნილებასთან, განიხილავს დამფუძნებელი
კრება.

სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახუ-
რეთათვის ჯამაგირის მომატება.

სატარიფო პალატის დადგენილებით, ამ
ახლო ხანში, მთავრობამ უნდა განიხილოს
საკითხი სახელმწიფო დაწესებულებათა მო-
სამსახურეთათვის ცხოვრების გაძვირების გა-
მო ჯამაგირის გადიდებისა. ჯამაგირის გადი-
დება, სატარიფო პალატის აზრით, უნდა მო-
ხდეს პირველ აგვისტოდან. ჯამაგირები გადი-
დებული იქნება აგრეთვე რკ. გზის და ფოს-
ტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთათვის.

სახალხო გვარდიელნი და შტატების
შემცირება.

შრომის სამინისტრომ, განიხილა რა საკი-
თხი წარმოებებში სახალხო გვარდიელების
სამსახურის მათზე დარჩენის შესახებ, დაადგი-
ნა შემდეგი: ის სახალხო გვარდიელნი, რო-
მელნიც ეწევიან სამსახურს გვარდიაში და-
თხოვნილ იქნებიან წარმოებიდან მხოლოდ
მაშინ, თუ იმ წარმოებაში, სადაც ისინი
მსახურებდნენ—მოხდა გაუქმება მათი თანამ-
დებობისა ხოლო თუ წარმოებაში მოხდა
შტატების შემცირება, მაშინ გვარდიელებს
ენახებათ წარმოებაში თავიანთი თანამდებობ-
ბა და მათ დაბრუნებამდე ამ სამსახურზე
იწვევენ დროებით მოსამსახურეთ.

სცენის მოღვაწეების შესახებ.

შრომის სამინისტრომ განიხილა რა სცე-
ნის მოღვაწეთა კავშირის ერთ-ერთი შუა-
მდგომლობა—აცხადებს, რომ მსახიობნი და
მემუსიკენი ვერ იქნებიან ჩარიცხულნი იმ კა-
ტეგორიაში, რომელზედაც ვრცელდება მუშა-
თა კანონმდებლობა. რაც შეეხება თეატრის
ტეხნიკურ და მოსამსახურეთა პერსონალს,
მათზე ზემოხსენებული კანომდებლობა ვრცელ-
დება.

სალამი ფრონტს

ფრონტის დღეების მომწყობმა კომიტეტმა
საველე შტაბს გაგრაში შემდეგი დეპეშა გა-
უგზავნა: „ფრონტის დღეებმა 19 და 20 ივ-
ლისს, მოწყობილმა საქართველოს რესპუ-
ბლიკანურ სატახტო ქალაქის დემოკრატიის
წარმომადგენლების მიერ და გამართული და-
მოუკიდებელ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე
მატერიალურ და მორალურ დახმარების აღ-
მოსაჩენათ ჩვენ სახელოვან გმირთათვის, რო-
მელნიც კაჟი გულით იცავდენ ჩვენს თავისუ-
ფლებას და სახელს, ჩინებულათ ჩაიარეს და
საერთო ნაციონალურ დღესასწაულის სახე
მიიღეს. მცხოვრებთა ყველა ნაწილმა და რე-
ვოლიუციონურ სამშობლოს ყველა ცოცხალ-
მა და ფაქიზ ნაწილებმა დაუცხრომლათ და
ქონების და ძალის დაუზოგველათ მედგარ
მებრძოლთა ფრონტის საკურთხეველზე შეს-
წირეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ ჩვენი
სიცოცხლისა და ღირსების დამცველთათვის.

„ამ დღეებმა დაგვიმტკიცეს ნათლათ,
რომ არ არსებობს არც ფრონტი და
არც ზურგი, არამედ არსებობს მთლია-
ნი დემოკრატიული ფრონტი შაე რეაქციის
დაღუპულ წესწყობილების და მონობის აღმ-
დგენელთა წინააღმდეგ.

„მძიმე პირობებში ჩვენის ქვეყნის ცხოვრე-
ბის მოულოდნელ გამარჯვების დამთავრებულ
ფრონტის დღეებმა დეე აღაფრთოვანოს სა-
ხელმოსილი ჩვენი სიამაყე სახელოვ-ნი გვარ-
დია და მისი ტოლი მამაცი, ახალგაზრდა
რესპუბლიკანური ლაშქარი ახალ საგმირო
საქმეებში, დასაცავათ წმიდა საქმისა- სამშო-
ბლოს დამოუკიდებლობის და მოპოებულ თა-
ვისუფლების სისხლით თავდასაცავათ.

„ის ალერსი და დახმარება, რომელიც გა-
მოუცხადა ფრონტს მისმა ზურგმა დეე გაგე-
ბულ იქნეს, როგორც წარბ-შეუხრელი გადა-
წყვეტილება, რომ ბოლომდე მივიყვანოთ და-
წყებული საქმე ქვეყნის თავისუფლების და
რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებისა,
რომელიც მოგვცემს დამამტკიცებელ საბუთს
დამოუკიდებლობის არსებობისა.

„სალამი ფრონტს და გამარჯვება მას!..

შინა მრეწველობის განყოფილება

როგორც წინა წერილებში გავაცანი საზო-
გადოებას, შინა მრეწველობის განყოფილება
გასული წლის ბოლო რიცხვებში სხვა და სხ-
ვა მიზეზების გამო, უსახსრობის გამო, გაუ-
ქმების გზას ადგა, მაშინ მის გარშემო და-
ტრიალდნენ სხვა და სხვა პირები, რომლე-
ბსაც სურდათ ჩაეგდოთ ხელში ერთად ერთი
საძირკველი ჩვენი შინა მრეწველობისა თავი-
სი მოწყობილებით ჯიბეების გასატენად, მაგ-
რამ, როგორც იყო, ამათ ბრეკალებისაგან
დახსნილი იქნა.

ექვსი თვის განმავლობაში შინა მრეწვე-
ლობის განყოფილებამ იმ იმედით, რომ მი-
წათმოქმედების სამინისტრო ჩაიბარებდა და
მოსამსახურეების ჯამაგირი უზრუნველყოფი-
ლი იქნებოდა, ენერგიულათ მოჰკიდა საქმეს
ხელი, კიდევაც გზაზე გამოვიდა და ფართო
ოპერაციასაც ეწევა. განყოფილების სართავი
ქარხანა, რომ ვერ უთავდება ნართის დამზა-
დებას, ორასამდე ქალს ეძლევა დაჩეჩილი
მატყლი სახლში თითის ტარზე დასართველად,
რომლებიც დღეში თითქმის ხუთ ფუთამდე
ნართს გვაბარებს, რაც იგზავნება სკოლებში
და სახელოსნოებში ქსოვილების დასამზადებ-
ლად.

როცა საქმე გამართულია და მთავრობას
მოგებას აძლევს როგორც ფულით, ისე მრე-
წველობის განვითარებით საქართველოში,
შინა-მრეწველობის გარშემო კიდევ დატრიალ-
დნენ ცნობილი პირები საქმის ხელში ჩასაგ-
დებათ; როგორც ჩვენამდი მოაღწია ცნობამ,
თხოვნაც კი მიუციათ, სადაც ჯერ არს, რა-
თა შინა-მრეწველობის განყოფილება გადას-
ცენ მათ იჯარით.

საკითხავია მხოლოდ: უკეთუ სამინისტრო
გადასცემს მათ შინა მრეწველობას—რას იზ-
მენ: შეუწყობენ ხელს ფართო საზოგადოებას
მანქანების მიწოდებით ხელმისაწვდენ ფა-
სებში?

გაუწევენ ხელმძღვანელობას საქართველოს
შინა-მრეწველობას ტეხნიკურის მხრით, რო-
გორც შეძლების დაგვარად ეწევა განყოფი-
ლება, თუ დაიცავენ თავიანთ ინტერესებს
და ქვეყნის ინტერესებს უკუ აგდებენ?

თუ ფიქრობენ მხოლოდ თავის თავის დი-
რექტორებათ და ვიცე დირექტორებად გახ-
დომას სარგებლიან საქმეზე და სხვისი დაყე-
ნებული საქმით სარგებლობას?

ამისთანა მოვლენის მაგალითი წინ გვაქვს
აბრეშუმის სადგურის პატარა ფაბრიკა, რო-
მელიც სამოსწავლო სადემონსტრაციო მიზანს
ეწეოდა და რომელსაც მართლაც გამოყენება
შეიძლება, რომ სარგებლობა მოუტანოს ქვე-
ყანას, აბრეშუმის პარკების დასამუშავებლად
იჯარით აიღო პოლონელ-ქართველთა საზო-
გადოებამ; დაარსეს გამგეობა, დირექტორი,
ყველას დიდი ჯამაგირები მისცეს, დაიქირა-
ვეს ხუთი მუშა,—ასე, რომ მუშებზე მეტი
გამგეობა იყო და დიდი ამბით შეუდგენ მუ
შაობას, მაგრამ საქმის უცოდინარობამ ადრე
იჩინა თავი: ერთი თვის მუშაობის შემდეგ
მუშაობა შესწყვიტეს...

შინა მრეწველობის განყოფილების ხელში
ჩაგდება ახალი პატრონებისათვის ასეთ სახი-
ფათო. რაიმეს არ წარმოადგენს, რადგანაც
საქმე დაყენებულია და კადრი როგორც მუ-
შებისა, აგრეთვე მოსამსახურეებისა მზად არის
და თავისი საქმისაც ესმით. მათ გაკეთებული
საქმის ხელში ჩაგდება აინტერესებს. ახალის
შექმნაზე აბა როგორ იზრუნებენ. თუ საქმე აინ-
ტერესებთ კერძო პირებს, თფილისშიაც იშოვ-
ნება მეხანიკური საჩეჩი მატყლის მანქანა და
სართავი, კერძო პირებს მიხაილოვოში სამასი
თითის ტარით, რომელიც დღეში ათ ფუთამდე
დაამზადებს და სხვა მანქანებიც, მაგრამ ამას
მონახვა უნდა და აწყობა და ამისთანა საქმე-
ები მათ არ ეხერხებათ, მათ უნდათ მოწყო-
ბილი საქმე...

ისეთ საქმეს, როგორიცაა შინამრეწველო-
ბის განყოფილება, ჩემის აზრით, კერძო პირე-
ბი არ უნდა განაგებდნენ თავიანთ ბოლ-
ხელმწიფოებრივი ხასიათი აქვს. საქმეს უნდა
განაგებდენ, როგორც დღეს განაგებს, მთავ-
რობა, ან ერობა, რადგანაც შინამრეწველო-
ბის ინტერესები და ერობის ინტერესები ერ-
თია და შინა მრეწველობის განყოფილებას
ეხლაც უხდება ადგილობრივ ერობებთან მუ-
შაობა და შემდეგში კი, უფრო ფართო ხა-
სიათს მიიღებს ეს მუშაობა.

ჩემის აზრით, დიდი სირცხვილი იქნება,
რომ ასეთ საზოგადო საქმეს ვერ მოუაროს
ჩვენმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და
ის კერძო პირს ჩაუგდონ ხელში.

ინსტუქტორი ალ. მ. ულენტი.

ერობაში

აგრონომთა ყრილობა.

საქართველოს ერობათა ცენტრალურ ბიუ-
როს თაოსნობით და თფილისის მაზრის ერო-
ბის აგრონომიულ განყოფილების დახმარე-
ბით განზრახულია მოვიწვიოთ საქართველოს
საერობო აგრონომთა ყრილობა მომავალ შე-
მოდგომაზე.

ყრილობაზე მოწვეულნი იქნებიან გადამ-
წყვეტი ხმის უფლებით: 1) ყველა მაზრის
აგრონომი, 2) ყველა რაიონის აგრონომი და
3) თითო მაზრიდან თითო სპეციალისტი
ინსტრუქტორი ამხანაგების ამორჩევით.

ყრილობის პროგრამაში შედის შემდეგი
საკითხების გარჩევა: 1) მოხსენება ადგილე-
ბიდან, 2) აგრონომიულ დახმარების მოწყობა
მაზრაში, ა) არსებული აგრონომიული დახმა-
რება მაზრაში და მიწათ-მოქმედების სამი-
ნისტროს და ერობათა ურთიერთობა ამ სა-
კითხში, ბ) აგრონომიულ დახმარების მოწყო-
ბის ძირითადი პრინციპები, გ) საუბნო აგრო-
ნომ. დახმარების მოწყობა დ) სასოფლო-სა-
მეურნეო ცოდნათა გავრცელება სკოლის გა-
რეშე, ე) აგრონომიულ ცენტრის შექმნა, რო-
მელიც დახმარებას გაუწევს ყველა საერობო
აგრონომებს და ერობებს აგრონომიულ დახ-
მარების მოწყობაში, ვ) აგრონომიულ პერსო-
ნალის პროფესიონალური საჭიროებანი, ა)
რა ფორმისა იქნება აგრონომიულ პერსონა-
ლის პროფესიონალური კავშირი, ბ) წესდების
განხილვა, 4) სხვადასხვა საკითხები.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, როგორიცაა:
1) საქართველოს სასოფლო სამეურნეო პი-
რობების შესწავლა, 2) სასოფლო-სამეურნეო
პირობების გაუმჯობესობა და სასოფლო-სა-
მეურნეო ეკონომიური პოლიტიკა, 3) აგრო-
ნომიულ ორგანიზაციის საზოგადო საკითხები,
4) სასოფლო-სამეურნეო განათლება და სხვა,
ეს საკითხები გაირჩევა საქართველოს სასო-
ფლო მეურნეობის და აგრონომიულ დახმარე-
ბის მოღვაწეთა ყრილობაზე, რომლის მოწვე-
ვაც შემოდგომისათვის განზრახული აქვს მი-
წათ მოქმედების სამინისტროს და რომელიც
შესდგება საერობო აგრონომთა ყრილობის
გათავების შემდეგ.

სასურველია მოხსენება ზემოთ-მოყვანილ
პროგრამის მიხედვით გამოიგზავნოს ბიუროს
სახელობაზე არა უგვიანეს პირველ ენკენის-
თვისა.

ყრილობის დღე იქნება გამოცხადებული.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 21 ივლისს შესდგა სასურსათო
განყოფილების პურის მცხობელთა პარტიული
კრება. ვინაიდან მუდმივი თავმჯდომარე პა-
სუხის გებაში იყო მისაცემი, კრებამ დრებით
აირჩია ამხანაგი ბ. დოლიძე. დღის წესრიგ-
ში იდგა შემდეგი კითხვები გასარჩევათ: 1)
პარტიული დისციპლინა, 2) კავშირის მიერ
მიღებული რეზოლიუცია და 3) ხელახალი
არჩევნები პრეზიდიუმისა. პირველი კითხვის
შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხანაგი თავმჯ-
დომარე. მეორე კითხვის შესახებ მოხსენებას
აკეთებს ამხ. ს. კაშია. მომხსენებელი აკრიტი-
კებს 20 ივლისს სრულიად პურის მცხობელთა
კავშირის საერთო კრების მიერ მიღებულ რე-
ზოლიუციას. ის ვრცლად ეხება იმას, თუ რო-
გორი შეცდომა დაუშვა პროფესიონალურმა
კავშირმა, რომელმაც დაარღვია საერთო წე-
სი და დაჟინებით მოითხოვდა დაპატიმრებუ-
ლი ყოფილი კავშირის მდივნის დაუყონებ-
ლივ გამოშვებას. ეს რეზოლიუცია აღმოჩნდა
ჩვენი პარტიის წევრის მიერ შეტანილი. კრე-
ბამ იქონია მსჯელობა და გამოიტანა შემდე-
გი რეზოლიუცია. 22 ივლისს შეერთებულმა
პარტიულმა კრებამ მეფურნეებისამ დაადგინა
1) პარტიის წევრების მხრით დაგმობილი იქ-
ნას სპირდონ გურულის ასეთი გამოსვლა და
ვადგენთ ჩამოერთვას მას პარტიული ბარათი

და გადაეცეს კოლექტივს, რათა იქნეს გასამართლებული, 2) გადატანილ იქნეს ფრაქციაში ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეებისა, გურულის მოქმედება, როგორც ეს პარტიული დისციპლინის დარღვევა.

დაბოლოს მოხდა ახალი არჩევნები.

——

ბათუმი. ოსმალების მიერ ბათომის აღებამ, მოადუნა ქალაქის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება. უმრავლესობა პარტიის წევრებისა, რომლის დიდი ნაწილი თოფქვეშ იყო, ქალაქიდან გავიდა, მაგრამ მიუხედავათ, ამისა პარტიის მაჯის ცემა აქ მაინც არ შეწყვეტილა. აქა იქ დარჩენილი ჩვენი ამხანაგები განაგრძობდენ მუშაობას, თუმცა იმ პირობებში, რომელშიაც იყო ბათომი ოსმალების დროს, ბევრის არაფრის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ აქა იქ შექმნილ პატარა „ცენტრები"-იაჩეიკები, თავის გარშემო იკრებდნენ დაქსაქსულ ძალებს და მით შესაძლებელი ხდებოდა მომავალში მუშაობის სფეროს გაფართოება. მას შემდეგ კი, როცა შესაძლებელი გახდა თავისუფლათ ბათომში დაბრუნება, პარტიული მუშაობა და დანგრეულ ორგანიზაციების აღდგენის საქმე უკეთესად წავიდა. ახლად არჩეული კომიტეტი ენერგიულად შეუდგა საქმეს და სამი თვის მუშაობის შემდეგ, 5 ივლისს, მოიწვია კონფერენცია ცეხების-იაჩეიკების პრეზიდიუმთა წევრებისა, დაესწრნენ 12 ცეხის წარმომადგენელნი, რიცხვით 50 კაცი.

თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. აფთ. წულაძე, მდივნად ამხ. ო. რამიშვილი. დღის წესრიგში შემდეგი კითხვებია: 1) მოხსენება მომენტზე; 2) პარტიული მუშაობა; 3) ძველი და ახალი ანგარიშები; 4) რაიონების დაარსება; 5) სარევიზიო კომისიის არჩევა; 6) გაზეთის გამოცემა.

მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. გოგოლაძე, ეხება ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას და და დაასკვნის, რომ ის მოძრაობა, რომელიც ამ ჟამად ევროპაში ხდება, ჯერჯერობით დემოკრატიულია. ამისათვის ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ვალია, განაგრძოს დეწყებული უკვე დემოკრატიული წყობილების განმტკიცება და დემოკრატიის ძალების ორგანიზაცია დენიკინის საფრთხესთან საბრძოლველად.

ამხ. ა. წულაძე მოახსენებს კონფერენციას პარტიული მუშაობის მსვლელობას ოსმალთა მიერ ბათუმის აღების დღიდან, ვიდრე დღემდე და გამოსთქვამს იმედს, რომ თუ ძველმა კომიტეტმა, რომლის წევრები დატვირთული იყვნენ მუშაობით პროფესიონალურ და საზოგადო დაწესებულებებში, ბევრი ვერა გააკეთა რა, ახალი კომიტეტი თავისი ენერგიული მუშაობით შეავსებს ამ ნაკლსო.

ამხ. ო. რამიშვილი კითხულობს ორგანიზაციის ანგარიშებს. კონფერენციამ საჭიროდ სცნო ანგარიშები იქნას განხილული და დამტკიცებული „იაჩეიკებში".

პარტიული მუშაობის მეტი ნაყოფიერებისათვის კონფერენციამ დაადგინა ქალაქი იქნას დაყოფილი ოთხ რაიონად, როგორც ოსმალების მოსვლამდე იყო.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს ამხ. კოპალეიშვილი, ი. უშვერიძე და ლ. დოლბაია.

გრაკხი.

მუშათა შორის

სურსათის განაწილება მუშებს და მოსამსახურეებს შორის.

21 ივლისს, ქალაქის გამგეობის წევრი კ. ა. პანიევის თავმჯდომარეობით, შესდგა თათბირი სხვადასხვა ორგანიზაციების და მწარმოებელთა წარმომადგენლების მონაწილეობით. კ. პანიევმა გააკეთა მოხსენება სურსათის განაწილების შესახებ. თუ მხედველობაში მივიღებთ, სთქვა, სხვათა შორის მომხსენებელმა, რომ თფილისში 20 ათასი მუშაა და თითო მუშის ოჯახი საშუალოთ 4 სულისაგან შესდგება, რაც შეადგენს 80 ათას სულს და თითო სულს სურსათისათვის დასჭირდება 500 მანეთამდე, მივიღებთ ჯამს 40 მილიონ მანეთს. მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მწარმოებლებს გაუჭირდებათ ამდენი ფულის გადახდა, ჩვენ შესაძლებლათ მიგვაჩნია 50 პროცენტით შევამციროთ ეს თანხა, რადგანაც იმედი გვაქვს, რომ კაპიტალი მალე შემოტრიალდება და ეს კი საშუალებას მოგვცემს 20 მილიონ მანეთით გავუძღვეთ საქმესო. მწარმოებლების წარმომადგენელი ხანდანოვი თანახმაა რა სურსათის განაწილების საკითხი მოგვარდეს, იგი შეუძლებლათ სცნობს, რომ ეს საქმე ქალაქის თვითმართველობის ხელში იყოს, მას საჭიროთ მიაჩნია ცალკე სპეციალური ორგანო დაწესდეს. ლევინი (მუშათა წარ.) წინააღმდეგ ხანდანოვის აზრისა მოითხოვს, რომ სურსათის შეძენის და განაწილების საკითხი ქალაქის გამგეობის ხელში იყოს. ხაიმოვიჩი (მუშა) მოითხოვს, რომ მწარმოებლებს საეალდებულოთ უნდა გაუხადონ ფულის შეტანა სურსათის შეძენისათვის. ა. რუსაძეს აზრით ზედმეტია სპეციალური ორგანოს დაარსება, საჭიროა ეს საქმე ქალაქის სასურსათო განყოფილების ხელში იყოს. კამათში მონაწილეობა მიიღეს მუხრანსკიმ, აბდუშელმა, გალუსტიანმა, ხელაძემ, ფალილეევმა და გოლდმანმა. უკანასკნელმა სხვათა შორის სთქვა, რომ ჩვენ მარტო სურსათის მიწოდებით კი არ უნდა დავკმაყოფილდეთ, არამედ —უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ მოვახდინოთ გავლენა ბაზარზე არსებულ ფასებზე. თათბირის დასასრულ მიიღეს გოლდმანის რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ თათბირზე აღძრული კითხვები წინასწარ გაარჩიონ დაინტერესებულ ორგანიზაციებმა.

——

ცემი. 12 ივლისს შესდგა ბაკურიანის ლიანდაგის ყველა დარგის მუშა მოსამსახურეთა კრება გრიგოლ კელენჯერიძის თავმჯდომარეობით. მოხსენება გააკეთა ამხ. ჩიქვილაძემ ფრონტის დღის მოწყობის და მისი მნიშვნელობის შესახებ. კრებამ მოისმინა მოხსენება და აირჩია ორი კაცი, ერემია და მიხა ტაბატაძეები, ცემში შემდგარ დროებით კომისიაში, ფრონტის დღის მოსაწყობათ. გარდა ამისა კრებას ჰქონდა მსჯელობა სურსათის მოტანის შესახებ და დაადგინა: ვინაიდან, ყოველ დღე გამომცხვარი პურის მიღება მუშა-მოსამსახურეებისათვის ბაკურიანის ლიანდაგზე მოუხერხებელია სხვადასხვა მიზეზეის გამო, იქნეს დარიგებული პურის მაგივრათ ფქვილი.

——

მეექვსე უბნის ლიანდაგი. მოვისმინეთ რა მოხსენება დამ. კრებ. წევრის პ. წულაიასი, საერთაშორისო და სახელმწიფოს შინაურ მდგომარეობაზე მასთან ჩვენი მთავრობის და დამფ. კრების მუშაობაზე, ჩვენ, მე-6 უბნის ლიანდაგის მუშები ვიწონებთ დამფ. კრებისა და ჩვენი მთავრობის მოქმედებას, როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეში და აღვუთქვამთ მას ჩვეულებრივად დახმარებას ყოველივე საქმეში ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ.

მდივანი **ნიკალაშვილი.**

——

თფ. სადგურის ლიანდაგზე როცა ჩამოაყენებენ მატარებელს, მაშინ დაუწყებენ ვაგონებს „მაზვას" და სიჩქარის გამო ბევრ მაზუთს უსარგებლოთ აქცევენ. ზარალი ორმაგია: ერთი, მაზუთი, იკარგვის, მეორე—კვირაში ერთის მაგივრად ორჯერ-სამჯერ უხდებათ ვაგონების გასუფთავება. ვაგონების გასუფთავება უნდა ხდებოდეს ვაგონთა პარკში. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს სათანადო ადმინისტრაციამ. **X.**

პროვინცია

საჯევახოს მხარე (გურია). როგორც ყველგან, შავი ზღვის მახლობლად, ისე მთელ საჯევახოს მხარეში, გამუდმებული წვიმების გამო, სიმინდს საგრძნობელი ზარალი აქვს; თუ ასე ხშირ-ავდრიანობა გასტანა, ყანები მთლად გაფუჭდება და ეს დიდი უბედურება იქნება. ხალხის უდიდესი ნაწილი დღეს დამშეულია უსიმინდობის გამო და სიძვირის გამო. ფუთი სიმინდი 100 მანეთზე მეტი ფასობს და საყიდლად ვერსად იშოვნის კაცი. სიმინდის გაძვირების საქმეს მეტად ხელი შეუწყო ყველა სოფლებში წვრილფეხა სპეკულიანტების გამრავლებამ; ისინი იძენენ აქა-იქ სიმინდს და ფქვილს ეზიდებიან ბათომისკენ თუ სხვა ქალაქებში. უმრავლესობა ხალხისა კი ნამდვილ სიმშილს განიცდის. საჭიროა სესხის სახით სიმინდით დახმარება დამშეულთათვის, თუ ჩვენს სანუგეშო დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას ამაზედ საშუალება მოეპოვება. ჩვენებური მშრომელი ხალხი თუმცა წარმოუდგენელად შეწუხებულია უსურსათობით და სიძვირის გამო, მაგრამ მაინც უკანასკნელი ენერგიით დარაჯობს მთავრობისაგან ნაკარნახევ თავდაცვის საქმეებს და სწამს საბოლაო ჩვენი გამარჯვება. ჩვენი საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობებ შორის სამხედრო ხელშეკრულებას წინააღმდეგ შავი რეაქციისა მთელი ხალხი აღტაცებით შეეგება და მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ ჩვენი მონათესავე ერი, სომხობა, ჩვენთან ასეთ კავშირში არ არის. ჩვენებური ხალხი დიდი ხალისით საქმიანობს შინაურულად სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებისათვის, როგორიცაა სკოლები, კოოპერატივები, ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონი და სხვა. ამ მხრივ ყველა საზოგადოებებს გააესწრო ზემოხეთის საზოგადოებამ მით, რომ „საჭამია სერზე" გაიჩინა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ძვირფასი შენობით, კოოპერატივი, სამკითხველო, საფერშლო პუნქტი და სხვა. სულ სხვას ეხედავთ სადგურ საჯევახოში:—აქ 1901 წლიდგან არსებობდა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და კაი ხანია, რაც სული განუტევა... არსებობს სამკითხველო, მაგრამ მისი საქმე ვერ მიდის წესიერად; არსებობს კოოპერატივი და იმასაც „წყალი აქვს შემდგარი"... არსებობდა რკინის გზის სადგურის შენობაში ფოსტის განყოფილება 1910 წლიდგან და დღეს გაუქმებულია, წინააღმდეგ ხალხის სურვილისა. ეს ფოსტის დაწესებულება დიდ სამსახურს უწევდა ხალხს და საჭიროა ისევ მისი აღდგენა და არა გაუქმება, რაც ხალხს მეტად საწყენად აქვს, რადგან მახლობლად ფოსტის განყოფილება არსად არ მოიპოვება. **მელქისედეკი.**

——

სოფ. სოკრგა (ხუგ. მაზრა). 14 ივლისს, დილას, მოკლეს ხორგის საზოგადოების კომისარი ლევან მირცხულავა. მოკვლას აბრალებენ გურალიას და სასანიას. მკვლელები გაიქცენ. მაზრის და რაიონის ადმინისტრაცია ღებულობს ენერგიული ზომებს დამნაშავეთა შესაპყრობად. ადგილობრივი საზოგადოებაც დახმარებას უწევს. როგორც ამბობენ, განსვენებული კომისარი ყოფილა მართალი და ერთგული მოსამსახურე. რამდენიმე დღის უკან ს. ყულისკარშიაც ავაზაკების მიერ იქნა მოკლული კომისარი მაქაცარია.

სიმართლე.

——

გარე-კახეთი. გარე-კახეთში უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შავ-ბნელ ძალთა წყალობით არა ერთს და ორს ანარქიულ გამოსვლას ჰქონდა ადგილი, მაგ. ერთი სოფლისგან მეორე სოფლის ფარგლებში შეჭრას და მიწების მითვისებას, ერთი მხრიდან მეორის საქონლის გატაცებას (თათართაგან ქართველების და ქართველებისაგან თათრების). ამ ნიადაგზე შეიქმნა დიდი უკმაყოფილება და ზოგჯერ იარაღით შეტაკებამდეც კი მივიდა საქმე. ასეთ გამწვავებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად გარე-კახეთის მცხოვრებელთ მიჰმართეს თფილისის და სიღნაღის მაზრის ერობებს და შინაგან საქმეთა საშინისტროს. იყო სოფლის რწმუნებულთა კრებაც თფილისის მაზრის ერობის წევრის ლ. ასათიანის თანადასწრებით. გადაწყდა სამედიატორო სასამართლო შეედგინათ, რომელიც გაარჩევდა ყველა სადავო საკითხებს. ამ სასამართლოს თავმჯდომარეობა თფილისის მაზრის ერობისაგან და შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, მიენდო იოსებ იმედაშვილს, რომელიც ეს ერთი თვეა, რაც მუშაობს. სამედიატორო სასამართლოს მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. დსრულდა საქმე აზამბურელ-იორომუღანლოელთ, კაკაბელ-გარეჯელთა და სხვათა.

სამედიატორო სასამართლო სცდილობს სხვადასხვა მოქალაქენი მოარიგოს. საჭიროა აღვნიშნო, რომ თუ ყაჩაღობის გამომწვევი მიზეზები არ მოისპო, ვერც ყაჩაღობა ჩაქრება და ორივე ხალხი—ქართველებიც და თათრებიც დიდ შეწუხებაში იქნებიან. სწორედ ამ მიზნით განუზრახავს საგანგებო კომისიას თათართა განაპირა სოფლები მოიაროს და საჭირო ზომები მიიღოს. საჭიროა ამ საქმეში ყველასდახმარება. ჩვენი მხრის დიდი მუწუკია ყაჩაღობა და ამას ბოლო უნდა მოეღოს. ამ ყაჩაღობაში ძლიერ ზიანდება ს. მუღანლო: ვისაც რა დაეკარგა, ამ სოფელს მიადგება ხოლმე და მათგან ინაზღაურებს, საჭიროა ნამდვილ ქურდების ალაგმვა. ამ სოფელში უკვე მოვაწყვე ერობის მცირე ერთეული—სასოფლო თემი და მუშაობაც დავიწყეთ. საქმე კი სოფელში ძლიერ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. სამედიატორო სასამართლოს გამოძიებამ ნათელჰყო, რომ ქართველებს აწუხებენ აზერბეიჯანის ზოგიერთი თათრები, ქართველები კი

ხებენ. საჭიროა ეს კომისია; დანგ-
ბის გაავაზაკებულ- ანაწილდება ამის
ვფიქრობთ იოს- მწარმოებელ-
თრების სოფლ- 11—1913 წ.წ. კომ-
კეთილად დავაგვ- —ეს
რადგანაც ღრმად ვლი მდგომული ვართ, ავა-
ზაკებსა და ჩვენს შემაწუხებელთ არც ადერ-
ბეიჯანის ხალხი და მთავრობა დააფარებს
ხელს.

25 ივნისს, იწყება საგარეჯოელთა და მოღანოელთა დავის განხილვა. ორივე მხრით ზარალი დიდია. სამედიატორო სასამართლო უკვე შეუდგა მუშაობას ბადიაურ-მუღანლოში.

საქარ. დამფუძნებელი კრების წევრი
სოინ-გული-მამედი.

განცხადებანი

შემთხვევით იყიდება პირველი ხარისხის

სასადილო

თავისი მოწყობილობით. შეიძლება იჯარითაც. იკითხეთ: სალდათის ბაზარი, რუსის ქ. № 3. სასადილო „ერთობა"

სილბბისტრო მაისაშვილი 18 წლის ყმაწვილი, რომელიც 7 თვეა სადღაც წავიდა და მისი ვერაფერი გავიგეთ. შეიძლება ვინმემ რამე იცოდეს ზემოთ ნახსენები პირის შესახებ და ვსთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: დიდი მთავრის ქ. № 38 ალექსი მაისაშვილს ნიკო მაისაშვილისათვის.

სამხედრო ხე-ტყის ქარხანა

ამით აცხადებს, რომ იგი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს აძლევს ყოველგვარ დახერხილ ხის მასალას დაკლებულ, ხელ. მისაწდომ ფასებში. (5—5)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა, იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა ჩასხივებით, დიდი სალენოიდი და არსეეალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღა, მოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი
ექიმ **ა. თ. ტუეშელაშვილის**

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი **რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

თფილისის **პეტრე-პავლეს სასაფლაოს** ეკლესიის

სამრევლო საბჭო ამით აცნობებს მრევლთა და მოქალაქეთ, რომ კვირას. 27 ამ მკათათვეს, დილის 10 საათზე, მოხდება ამ სასაფლაოს ახალი, გაფართოებულ ნაწილის კურთხევა კათოლიკოზ-პატრიარქის წირვირურთ.

შოფერების პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 27 ივლისს, დილის 10 საათზე, მუშათა კლუბის საზაფხულო სადგომში (ბლეხანოვის პროსპექტზე № 65), შესდგება

საზოგადო კრება

კავშირის წევრებისა. გამგეობა სთხოვს ამხანაგ წევრთ დაესწრონ კრებას. (2—1)

ჯილდო 1000 მ. ჯახეთის ამხანაგობა „საერო"-ს გამგეობამ დაადგინა 1000 მანეთი მისცეს ჯილდოდ იმას, ვინც ქართული ასოებიდან კლიშესათვის სურათს დაჰხატავს „საეროს" ფირმის სახელწოდებით; სურათი შეძლების და გვარად არ უნდა განსხვავდებოდეს რუსული ასოებიდან შედგენილი სურათისაგან. წერილობითი წინადადებანი დახურულ კონვერტებში უნდა წარდგენილ იქმნას ამხანაგობის კანტორაში პუშკინის ქუჩა, № 2, თამამშვილის ქარვასლა. წარდგენის ვადა ამ წლის აგვისტოს პირველ დღის 12 საათამდის. (2—1)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.